საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევი კონკურსი

დამატებითი საკონკურსო კომისიის

შემაჯამებელი სხდომის ოქმი № 3

ქ. ბათუმი 12.02.2019 წელი

საკონკურსო კომისიის წევრები:

1. გოცირიძე რაული - ბსუ, აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;
2. მეტრეველი მარიკა - ბსუ, ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;
3. ზარნაძე ნანა - ბსუ ასოც. პროფესორი;
4. მახარაძე დალი - ბსუ ასოც. პროფესორი;
5. ირინა ვარშალომიძე -ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მთავარი მეცნ. თანამშრომელი;
6. ციური ქათამაძე - ბსუ -ს ასოცირებული პროფესორი;
7. ნატო ზოსიძე- ბსუ-ს ასოც. პროფესორი;
8. ლელა თავდგირიძე- ბსუ-ს პროფესორი;
9. თემურ ტუნაძე - ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი;
10. ნანა მამულაძე- ბსუ-ს ასოც. პროფესორი;
11. პაატა ჩაგანავა -ბსუ-ს ასოც. პროფესორი;
12. ირმა ჩხაიძე- ბსუ-ს ასოც. პროფესორი;
13. . რევაზ კახიძე- ბსუ-ს პროფესორი;
14. ზებურ სურმანიძე -ბსუ-ს ასოც. პროფესორი;

დღის წესრიგი:

1.ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 28 დეკემბრის №01-08/184 ბრძანებით გამოცხადებული ბსუ-ში 2019 წელს განსახორციელებელი მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტებიდან გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ.

მოისმინეს: კომისიის თავჯდომარის ნანა ზარნაძის ინფორმაცია, რომელმაც აღნიშნა შემდეგი: მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი

კონკურსის დებულების თანახმად 36 918 ლარის ფარგლებში შეიძლება დამატებით გამოვლინდეს გამარჯვებული პროექტი. ამ მიზნით წარმოდგენილია 3 (სამი) მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტი,:

1. **"აჭარაში გავრცელებული ჭალაფშატის, ტყემლის და ინტროდუცირებული ლურჯი მოცვის ნაყოფის ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების შესწავლა"**

სამეცნიერო ხელმძღვანელი(ები): მაია ვანიძე - ბსუ ასოც.პროფესორი;
პროექტის ძირითადი პერსონალი: მერი ხახუტაიშვილი - დოქტორანტი; ჯეირან ფუტკარაძე - დოქტორანტი; ნონა სურმანიძე - დოქტორანტი

პროექტის ბიუჯეტი შეადგენს: 20000 (ოცი ათასი) ლარი;

პროექტის შესახებ საერთო ინფორმაცია: შრომის ანაზღაურება შეადგენს 7420 (შვიდი ათას ოთხას ოცი) ლარს, მივლინება - 0 (ნული) ლარი, საქონელი და მომსახურება - 3580 (სამი ათას ხუთასოთხმოცი) ლარი , ძირითადი აქტივები -9000 (ცხრაათასი ლარი)

2. „ნავთობური შლამის ინჰიბიტორული თვისებების შესწავლა ანტიკოროზიულ დანაფარებში გამოყენების მიზნით".

ძირითადი პერსონალი: ზურაბ მეგრელიშვილი - ტექნოლოგიური ფაკულტეტის პროფესორი; გიზო ფარცხალაძე - ტექნოლოგიური ფაკულტეტის პროფესორი; მადონა ლორია - ტექნოლოგიური ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი.
სტუდენტები: ნანა პატარიძე - ტექნოლოგიური ფაკულტეტის არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-4 კურსი;
მარიამ ბერიძე - ტექნოლოგიური ფაკულტეტის ნავთობისა და გაზის მოპოვების, ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნიკა და ტექნოლოგიების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პირველი კურსი.
პროექტი ბიუჯეტი: 19 950 ლარი.

3. „სოფ. ქობულეთის გვიანმეზოლითურ-ადრენეოლითური ხანის ნამოსახლარის ინტედისციპლინური არქეოლოგიური კვლევა-ძიებები თანამედროვე მეთოდების გამოყენებით".

პროექტის ხელმღვანელი - ამირან კახიძე, ბსუ-ს ემერიტუსი; ძირითადი პერსონალი - გურამ ჩხატარაშვილი, აკადემიური დოქტორი, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი; მოწვეული სპეციალისტი - თათული მოწყობილი, ჰუმანიტარულ მეცნ. ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი.
პროექტის ბიუჯეტია - 19 950 ლარი;

წარმოდგენილია, აგრეთვე, ორი ახალგაზრდა მკვლევარის პროექტი:

1. „შიდა მიგრაციის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ზოგიერთ ეკონომიკურ პარამეტრზე (ხულოს მუნიციპალიტეტის მაგალითზე)"

პროექტის ხელმძღვანელი - ქეთევან ჭანიძე, ძირითადი და დამხმარე პერსონალი არიან შემდეგი პირები: პროფესორი ნათელა წიკლაშვილი და ზეინაბ სურმანიძე, ბაკალავრიატის სტუდენტი: ხათუნა თურმანიძე.
პროექტის ბიუჯეტი შეადგენს: 9950 ლარი; კვლევის მიზანია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შიდა მიგრაციული პროცესების გამოკვლევა. შრომის ანაზღაურება შეადგენს 3800 ლარს, მივლინების ხარჯები 3200 ლარს.

2.„სტევიას ფოთლების ექსტრაქტის ფუნგიციდური და ბაქტერიოციდული აქტივობის შესწავლა ხელოვნურ ინფექციურ ფონზე in vivo პირობებში".

პროექტის ხელმძღვანელი - ლიანა ქოიავა, ფიტოპატოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის მეცნიერ - თანამშრომელი; ძირითადი პერსონალი: ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლები: ნანა ჯაბნიძე (კონსულტანტი), მაკა მურადაშვილი, რუსუდან დუმბაძე; მოწვეული სპეციალისტი - რუსლან დავითაძე; დამხმარე პერსონალი: ჯულიეტა კაკალაძე, ლაბორანტი; სტუდენტი: ნინო ბრეგვაძე. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის მე-3 კურსის ბაკალავრი. ბიუჯეტი 10 000 ლარი.

კომისიის თავმჯდომარემ, გამარჯვებული პროექტის გამოვლენის მიზნით, ღია კენჭისყრაზე დააყენა თითოეული პროექტი ცალ-ცალკე. კენჭისყრის საფუძველზე საკონკურსო კომისიის წევრებმა

დაადგინეს:

1.წარმოდგენილი მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტებიდან გამარჯვებულად გამოვლინდეს პროექტები:

1.1. „სოფ. ქობულეთის გვიანმეზოლითურ-ადრენეოლითური ხანის ნამოსახლარის ინტედისციპლინური არქეოლოგიური კვლევა-ძიებები თანამედროვე მეთოდების გამოყენებით"

1.2. „შიდა მიგრაციის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ზოგიერთ ეკონომიკურ პარამეტრზე (ხულოს მუნიციპალიტეტის მაგალითზე)"

და აღნიშნული საკითხი გადაეცეს დასამტკიცებლად ბსუ-ს აკადემიურ საბჭოს.

2. შედეგები დაეგზავნოს შესაბამის სამსახურებს და გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე:

მდივანი: